



**სამართლიანი არჩევნები**

30 მაისი, 2010 წელი

## სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

განცხადება არჩევნების მიმდინარეობის შესახებ # 2  
15:00 საათი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აგრძელებს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მონიტორინგს. ორგანიზაცია კენჭისყრის მიმდინარეობას აკვირდება **1100** საარჩევნო უბნის დამკვირვებლის, **73** საარჩევნო ოლქის დამკვირვებლის, **73** მობილური ჯგუფისა და **15** იურისტთა ჯგუფის მეშვეობით. ამასთანავე, ორგანიზაცია ახორციელებს არჩევნების დღის ხარისხობრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას. ამ ეტაპზე „სამართლიანი არჩევნები“ წარმოგიდგენთ 15:00 საათისთვის არსებულ მონაცემებს.

### დამკვირვებლებზე ზეწოლა

- **# 20 რუსთავის** საარჩევნო ოლქის **# 41** საარჩევნო უბანზე „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელზე განხორციელდა ზეწოლა. დამკვირვებელს დაურეკა მისთვის უცნობმა ვინმე გოჩა ქურდაძემ და კატეგორიულად მოსთხოვა დაეტოვებინა უბანი, და ქურდაძის მიერ გაგზავნილი მანქანით მისულიყო თავის საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად. ორგანიზაციამ მოიძია და დაადგინა, რომ პიროვნება, რომელმაც დაურეკა ორგანიზაციის დამკვირვებელს არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი. ხოლო მეორედ უკვე დამკვირვებელს დაურეკა მძღოლმა, რომელმაც უთხრა, რომ ეზოში ელოდებოდა. ცხადია, ორგანიზაციის დამკვირვებელმა არ დატოვა საარჩევნო უბანი.
- **# 62 ჩოხატაურის** საარჩევნო ოლქის **# 36** საარჩევნო უბანზე უბნის კომისიის თავმჯდომარის მიერ „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელზე განხორციელდა ზეწოლა. აღსანიშნავია, რომ ამ საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარე ორჯერ მისცა ხმა და სწორედ ამასთან დაკავშირებით მისცა შენიშვნა ორგანიზაციის დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს.
- თავისუფალი მუშაობის საშუალება არ მიეცა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს **# 11 საგარეჯოს** საარჩევნო ოლქის **# 21** საარჩევნო უბანზე.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)



## სამართლიანი არჩევნები

### მედიაზე წეზოლა

- **# 38 ადიგენის** საარჩევნო ოლქის **# 7** საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტი. კერძოდ, გაზეთ სამხრეთის კარიბჭის ჟურნალისტებს ნინო ნარიმანაშვილსა და მანანა სარაშვილს პოლიციელმა საარჩევნო უბნის დატოვება და „წყნარად“ ყოფნა მოსთხოვა. ინფორმაცია გადაამოწმა ორგანიზაციის წარმომადგენელმა უშუალოდ ზემოთ ჩამოთვლილ პირებთან, რომელთაც საარჩევნო უბანი დატოვეს.

### გაყალბება/გაყალბების მცდელობა

- **# 30 კასპის** საარჩევნო ოლქის **# 38** საარჩევნო უბანზე, მასიურად ხდებოდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ამომრჩევლები ბიულეტენებში საჯაროდ ხაზავდნენ სასურველი საარჩევნო სუბიექტის ნომერს. შენიშვნის მიუხედავად საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ არ გამოასწორა აღნიშნული ფაქტი. „სამართლიანი არჩევნები“ ითხოვს აღნიშნული საარჩევნო უბნის გაბათილებას.
- **# 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქის **# 29** საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა ხმა მისცა პირადობის მოწმობით, რომლის პირადი ნომერი და ამომრჩეველთა სიაში დაფიქსირებული ნომერი არ ემთხვეოდა ერთმანეთს.
- **# 59 ქუთაისი** საარჩევნო ოლქის **# 101** და **# 11** საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პირადობის მოწმობის ასლით ხმის მიცემის მცდელობა, **# 11** საარჩევნო უბანზე მართვის მოწმობით ხმის მიცემის მცდელობა. დარღვევაზე მიუთითა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელმა. ამავე ოლქში **# 128** საარჩევნო სპეციალურ უბანზე 40 ამომრჩეველი აპირებდა პირადობის მოწმობის ასლით ხმის მიცემას, თუმცა ამ შემთხვევაში თავად კომისიამ აღმოფხვრა მცდელობა.
- **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქის **# 41** საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვის ნაცვლად ხმის მიცემის მცდელობა სხვისი პირადობის მოწმობის საშუალებით.

### არეულობა საარჩევნო უბანზე

- **# 21 გარდაბნის** საარჩევნო ოლქის **# 25** საარჩევნო უბანი გაიხსნა დაგვიანებით (09:15 საათზე), წილისყრის ჩატარებამდე მოხდა საკონტროლო ფურცლის ჩაგდება მოულოდნელად, კომისიისმდივანმა არ იცის სახელმწიფო ენა და ამიტომ მდივნის ფუნქცია შეთავსებული აქვს კომისიის წევრს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. საარჩევნო უბანზე არის ქაოსი, ნაკადის მომწესრიგებელი არ ასრულებს თავის ფუნქციებს, ოქმში 10:00 საათისთვის არ იყო ჩანაწერთა წიგნში საკონტროლო ფურცლის შესახებ ინფორმაცია, თუმცა ამომრჩევლები აძლევდნენ ხმას. საარჩევნო უბანზე არ დაარეგისტრირეს „სამართლიანი არჩევნების“ საჩივარი, თუმცა ასლი დაიტოვეს. ორგანიზაციამ იგივე საჩივარი შეიტანა **# 21 გარდაბნის** საოლქო საარჩევნო კომისიაში.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)



## სამართლიანი არჩევნები

### ამომრჩეველთა სიებში არსებული ხარვეზები:

- ამომრჩეველთა ერთიან სიაში ხარვეზები დაფიქსირდა - **# 6 სამგორის** საარჩევნო ოლქის **# 54** საარჩევნო უბანზე; **# 12 გურჯაანის** საარჩევნო ოლქის **# 3** საარჩევნო უბანზე; **# 60 ოზურგეთის** საარჩევნო ოლქის **# 23, # 34, # 57** საარჩევნო უბნებზე; **# 36 ბორჯომის** საარჩევნო ოლქის **# 2, # 3, # 4, # 5, # 6, # 7, # 8, # 23, # 25, # 26, # 27, # 28, # 36** საარჩევნო უბნებზე; **# 38 ადიგენის** საარჩევნო ოლქის **# 10** საარჩევნო უბანზე.
- **# 6 სამგორის** საარჩევნო ოლქის **# 54** საარჩევნო უბანზე საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა სიაში შეყვანილი არ იყო „დ“, „ე“ და „ვ“ ასოებზე დაწყებული გვარის ამომრჩეველები, რის გამოც მათ უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე და სთხოვეს მოგვიანებით მისვლა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ამომრჩეველთა სია რეალურად იყო საარჩევნო უბანში.
- ამომრჩეველთა სიის დანართში - **# 60 ოზურგეთის** საარჩევნო ოლქის **# 23, # 34** საარჩევნო უბნებზე;

### კენჭისყრის პროცესის შეჩერება

- **# 48 ხარაგაულის** საარჩევნო ოლქის **# 12** და **# 32** საარჩევნო უბნებზე მაჟორიტარული ბიულეტენები შეცდომით იყო მიტანილი, კერძოდ **# 12** საარჩევნო უბნის ბიულეტენები მითანილი იყო **# 32** საარჩევნო უბანზე და პირიქით. რის გამოც 40 წუთით შეფერხდა ხმის მიცემის პროცედურა.
- **# 69 ჩხოროწყუს** საარჩევნო ოლქის **# 21** საარჩევნო უბანზე მოხდა 15-20 წუთით კენჭისყრის პროცესის შეჩერება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, რადგან ბიულეტენებს კომისიის წევრები არ ჭრიდნენ. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა **# 52 ბაღდათის** საარჩევნო ოლქის **# 3, # 19** და **# 29** უბნებზე.
- **# 43 ონის** საარჩევნო ოლქის **# 15** საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა, რომ აღნიშნულ უბანზე მაჟორიტარული ბიულეტენები იყო სხვა უბნის, განმეორებული. შედეგად მაჟორიტარული კენჭისყრა შეწყდა და გაგრძელდა მხოლოდ პროპორციული სისტემით.

### საარჩევნო მასალის ნაკლებობა/უზუსტობა

- მასიურად დაფიქსირდა ამომრჩეველთა სიაში არსებულ რაოდენობაზე ნაკლები ბიულეტენების რაოდენობა საარჩევნო უბნებზე: **# 52 ბაღდათისა** და **# 56 ჭიათურის** საარჩევნო ოლქის უმეტეს საარჩევნო უბნებზე. **# 32 გორის** საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებზე; **# 18 ახმეტის**, **# 14 დედოფლისწყაროს**, **# 16 ყვარლის**, **# 13 სიღნაღის** საარჩევნო ოლქების საარჩევნო უბნებზე.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)



## სამართლიანი არჩევნები

- **#12 გურჯაანის** საარჩევნო ოლქის **# 1, # 9, # 11, # 19, # 43** საარჩევნო უბნებზე დარიგებულ ბიულეტენებს არა აქვს ბეჭდისა და ხელმოწერის ადგილი, ბიულეტენის უკანა გვერდზე.
- **# 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქის **# 129** საარჩევნო უბანზე ორი რეგისტრატორი მუშაობდა ერთი ბეჭდით, დაიწერა საჩივარი, რომლის შედეგადაც აღმოიფხვრა ხარვეზი და მოიხსნა ერთ-ერთი რეგისტრატორი. საჩივარი ასევე შეტანილია საარჩევნო ოლქში იმ ბიულეტენების გაბათილების მოთხოვნით, სადაც იქნება ერთი ბეჭედი და სხვადასხვა ხელმოწერა.

### გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემა

- **# 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქის **# 89** საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის ბიულეტენებს არ ერტყა ბეჭედი და არ იყო ხელმოწერილი. ფაქტის აღმოჩენის შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთი დაბრუნდა საარჩევნო უბანზე. ერთმა ამომრჩეველმა მისცა ასეთი ბიულეტენით ხმა. „სამართლიანმა არჩევნებმა“ მოითხოვა ამ ამომრჩეველის მიერ მიცემული ხმის გაბათილება და დააყენა საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და გამყოლი 2 კომისიის წევრის პასუხისმგებლობა.
- **# 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქის **# 25** საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბნიდან წაირღს დაგვიანებით, იმ მოტივით, რომ მხოლოდ 35 ამომრჩეველია სიის დანართში და არ არის საჩქარო.
- **# 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქის **# 13** საარჩევნო უბნიდან გადასატანი საარჩევნო ყუთით წაიღეს ბიულეტენები ბეჭდის გარეშე.

### პროცედურული დარღვევები

- მარკირების აპარატის გაფუჭების გამო კენჭისყრა შეჩერდა **# 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქის **# 101** და **# 78** საარჩევნო უბნებზე, **# 54 სამტრედიის** საარჩევნო ოლქის **# 33, # 34, # 35** საარჩევნო უბნებზე, **# 68 წალენჯიხის** საარჩევნო ოლქის **# 6** და **# 15** საარჩევნო უბნებზე. **# 30 კასპის** საარჩევნო ოლქის **# 14** საარჩევნო უბანზე გაფუჭდა მარკირების აპარატი. კენჭისყრის პროცესი შეჩერდა 1 საათით.
- **# 11 საგარეჯოს** საარჩევნო ოლქის **# 34** საარჩევნო უბანზე არ კეთდებოდა მარკირება.

15:00 საათისთვის ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ საერთო ჯამში შეტანილ იქნა 11 **საჩივარი**.

„სამართლიანი არჩევნები“ აგრძელებს არჩევნების დღის მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგებს წარმოგიდგენთ ორგანიზაციის მომდევნო განცხადებაში.



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)